ბრძანება

N 04/325

325-01-4-201712042233

04/12/2017

შპს "ალტასა" და შპს „მეტრომარტს" შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

„კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის, 11^1 მუხლის მე-3 პუნქტის, 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, ,,კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-4 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის და სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30-09/3 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების" მე-20 და 21-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს „გადაწყვეტილება შპს „ალტასა" და შპს „მეტრომარტს" შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ" თანდართული სახით.
2. შპს „ალტას" მიერ შპს „მეტრომარტის" 50% წილის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად.
3. გადაწყვეტილება გაეგზავნოთ შეტყობინების საქართველოს კონკურენციის სააგენტოში წარმომდგენ ეკონომიკურ აგენტებს.
4. გადაწყვეტილება, მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს კონკურენციის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ანოტაციის ფორმით, სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ ან საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით
5. გადაწყვეტილება, მისი მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გაეგზავნოს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულს სააგენტოს, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.

6. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

7. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ნოდარ ხადური

თავმჯდომარე

გადაწყვეტილება

შპს „ალტასა“ და შპს „მეტრომარტს“ შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I ნაწილი. ფაქტობრივი გარემოებები

მიმდინარე წლის 18 ოქტომბერს საქართველოს კონკურენციის სააგენტოში წარმოდგენილ იქნა შეტყობინება(რეგ. №01/924) ეკონომიკურ აგენტთა - შპს „ალტას“ (ს/ნ 211380691) და შპს „მეტრომარტს“ (ს/ნ 401975662) - შორის მოსალოდნელი კონცენტრაციის თაობაზე.

შეტყობინებით წარმოდგენილი დაგეგმილი კონცენტრაციის საგანს წარმოადგენს შპს „ალტას“ მიერ შპს „მეტრომარტის“ 50% წილის შეძენა. აღნიშნული მიზნად ისახავს შპს „ალტას“ მიერ შპს „მეტრომარტში“ ინვესტიციების განხორციელებასა და სამუშო გამოცდილების გაზიარებას.

განაცხადში მოცემულია კონცენტრაციაში მონაწილე სუბიექტთა მახასიათებლები, კერძოდ:

1) შპს „ალტას“ და შპს „მეტრომარტის“ საკუთრების უფლებით მოსარგებლენი;
2) მონაწილე სუბიექტებთან რაიმე ფორმით დაკავშირებული ეკონომიკური აგენტები;
3) აღნიშნული ეკონომიკური აგენტებიდან გაცხადებული შერწყმისათვის შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები;
4) წინა (2016 წ.) ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტების ბრუნვების მოცულობები ქვეყნის შიდა ბაზარზე და საერთაშორისო ბაზარზე (შიდა ბაზრის ჩათვლით).
5) მომწოდებლების და მყიდველების ჩამონათვალი და შესყიდვის და რეალიზაციის მოცულობები წარმოდგენილი შეტყობინების მიხედვით:

ეკონომიკური სუბიექტი	2016 წ. შესყიდვის მოცულობა (ლარი)
შპს „ალტა“	[redacted]
შპს „ალტაოქეი“	[redacted]
შპს „მეტრომარტი“	[redacted]

ეკონომიკური სუბიექტი	2016 წ. გაყიდვის მოცულობა (ლარი)
შპს „ალტაოქეი“	[redacted]
შპს „მეტრომარტი“	[redacted]

აღსანიშნავია, რომ შპს „მეტრომარტის“ გაყიდვები შედგება მხოლოდ საცალო რეალიზაციისგან, ხოლო შპს „ალტაოქეის“ გაყიდვები - საცალო რეალიზაციისა და მომსახურების გაწევისგან.

შპს „ალტას“ გაყიდვების სტრუქტურა შემდეგია:

შპს „ალტას“ გაყიდვები	2016 წ. გაყიდვის მოცულობა (ლარი)
საცალო	[redacted]
კორპორატიული	[redacted]
სხვა ეკონომიკურ აგენტებზე	[redacted]
ექსპორტი	[redacted]
სერვისი	[redacted]
„ალტაოქეი“-ზე მიყიდვა	[redacted]
„მეტრომარტ“-ზე მიყიდვა	[redacted]
სულ „ალტას“ რეალიზაცია	[redacted]

6. შეტყობინებაში მითითებულია შპს „ალტასთან“ დაკაშირებული კომპანიები:

402033312	შპს ალტაოქეი
211380708	შპს ალტა სოფთვეარი
405024806	შპს მობიუსი
401983430	შპს სერვის პლაზა
401996051	შპს ჰოტსპოტ.ჯი
204570552	შპს ექსონი
404486800	შპს არბიტრანს

მითითებულია, რომ ამ კომპანიებიდან გაცხადებული შერწყმისათვის შესაბამის ბაზარზე მოქმედებს შპს „სერვის პლაზა“, შპს „ჰოტსპოტ.ჯი“, და შპს „ალტაოქეი“.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის მიხედვით, შპს „ალტას“ მონაწილეობით დაფუძნებული იყო შემდეგი კომპანიები:

- 404881419 - შპს „პი სი კლაბი“, რომლის ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულია;
- 205180999 - შპს „ალტა სერვისი“, რომელიც 2015 წლის თებერვალში შეერწყა შპს „სერვის პლაზას“.

7. შეტყობინებაში მოცემულია ეკონომიკურ აგენტებზე საკუთრების უფლებით მოსარგებლენი:

ა) შპს „ალტა“

01024018178, თეა კაკაბაძე - 52%

01024015034, ირაკლი კაკაბაძე - 31.3236%

01024009482, გრიგოლ ნიკოლაიშვილი - 7.3863%

01024008336, ლევან ნიკოლაიშვილი - 5.3494%

01030006707, დავით სოფრომაძე - 2%

01010002447, ზურაბ ტაბიძე - 1.148%

01010002946, კახა ჭოველიძე - დირექტორი, 0,5%

01011005409, გია ზაზაშვილი - 0.2927%;

ბ) შპს „მეტრომარტზე“ საკუთრების უფლებით მოსარგებლენი:

20674 IBC 2012, სი.სი. ქორფორეიშნ, სენტ ვინსენტი და გრენადინები, 33,34%

20662 IBC 2012, სი.სი. ქორფორეიშნ, სენტ ვინსენტი და გრენადინები, 33,33%

1845168, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ნექსტ ელექტრონიკს, ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.), 14.10.2014, 33,34%.

აღნიშნული პირების მონაწილეობით სხვა ეკონომიკური აგენტები საქართველოში არ არის რეგისტრირებული.

მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შეფასების მიზნით, განხორციელდა შემდეგი სახის მიმოწერა:

1. სსიპ შემოსავლების სამსახურში გაიგზავნა წერილი N02/1494, 27/10/2017. გამოთხოვილ იქნა სეს ესნ სასაქონლო ჯგუფების - 3919, 3926, 4202, 7321, 8414 , 8415, 8418, 8422, 8443, 8450, 8471, 8473, 8504, 8506, 8507, 8508 , 8509, 8510, 8516, 8517, 8518, 8519, 8521, 8523, 8525, 8528, 8536, 8542, 8544, 9002, 9006, 9504 - შესაბამისად განსაზღვრული საქონლის იმპორტის, ექსპორტის და რეექსპორტის შესახებ.

გამოთხოვილი ინფორმაცია სააგენტოს მიეწოდა შემოსავლების სამსახურის N21-11/168473 წერილით (07/11/2017).

2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში (საქსტატი) გაიგზავნა წერილი N02/1496, 31/10/2017. გამოთხოვილ იქნა იმ ეკონომიკურ აგენტების (მაღაზიების) ჩამონათვალი და რეკვიზიტები, რომელთა საქმიანობის საგანსაც წარმოადგენს ელექტროსაქონლით (მობილური, საყოფაცხოვრებო და კომპიუტერული ტექნიკა) ვაჭრობას. საქსტატიდან მიღებულია ინფორმაცია (წერილი N6-3075, 06/11/2017) საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შესახებ, მითითებული საქმიანობის მიხედვით;

3. საქსტატიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე, სსიპ შემოსავლების სამსახურში გაიგზავნა წერილი N02/1582, 22/11/2017. გამოთხოვილ იქნა ეკონომიკური აგენტების სეკ სასაქონლო ჯგუფების შესაბამისად განსაზღვრული ერთობლივი შემოსავლები. გამოთხოვილი ინფორმაცია სააგენტოს მიეწოდა შემოსავლების სამსახურის N21-11/180772 წერილით (29/11/2017).

4. შემოსავლების სამსახურიდან დამატებით შემოვიდა წერილი N21-11/181839, 01/12/2017წ. ინფორმაცია იმ გადამხდელთა შესახებ, რომელთაც უფიქსირდებოდათ ერთზე მეტი საქმიანობა. ასევე დაზუსტებულია, რომ **„გადამხდელი შესაძლოა ეწეოდეს რამოდენიმე საქმიანობას. საშემოსავალო გადასახადის წლიური დეკლარაციის საფუძველზე არ იმიჯნება თუ რომელ საქმიანობას უკავშირდება მიღებული ერთობლივი შემოსავალი“.**

5. მიმდინარე წლის 15 ნოემბერს შპს „მეტრომარტის“ დირექტორს ნინო გელაშვილს გაეგზავნა წერილი N02/1544 შეკითხვით, შპს „მეტრომარტი“ ეწეოდა თუ არა ელექტროტექნიკის მონტაჟთან და შეკეთებასთან დაკავშირებულ მომსახურებას 2016 წლის განმავლობაში.

   შპს „მეტრომარტი“-დან 21 ნოემბრის შემოსული წერილის N01/989 მიღებულ იქნა ინფორმაცია, რომ 2016 წ. შპს „მეტრომარტი“ ტექნიკის შეკეთებასთან დაკავშირებულ მომსახურებას არ ეწეოდა 2016 წელს, ხოლო 2017 წლის მაისიდან ახორციელებს ტექნიკის მონტაჟთან დაკავშირებულ მომსახურებას. გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით, აღნიშნულ საკითხზე შპს „მეტრომარტის“ დირექტორთან განხორციელდა დამატებითი მიმოწერა (სააგენტოს წერილი N N02/1581 და კომპანიის წერილი N01/1002), რომელშიც ეკონომიკურმა აგენტმა დააფიქსირა ზემოაღნიშნულის ანალოგიური პოზიცია.

6. მიმდინარე წლის 13 ნოემბერს შპს „ალტას“ წარმომადგენელს გაეგზავნა წერილი N02/1531, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შეტყობინების განხილვის ვადის 2 კვირით გაგრძელების შესახებ.

II ნაწილი. სამართლებრივი მიმოხილვა

წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „სსიპ-კონკურენციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-4 ბრძანებით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-3 ბრძანებით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციის სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებების დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N04/156 ბრძანებით და სხვა.

კონკურენციის სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებასა და შეფასებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და მე-11^1 მუხლების მოთხოვნებს.

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი და მე-2 პუქნტებით განსაზღვრულია კონცენტრაციის განმარტება, ხოლო კანონის მე-11^1 მუხლის თანახმად, სააგენტოსთვის წინასწარ წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომლის მონაწილე ეკონომიკური აგენტის/აგენტების (გარდა ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს ეკონომიკური აგენტებისა) როგორც ინდივიდუალური, ისე ერთობლივი აქტივების ღირებულება ან წლიური ბრუნვა (კონცენტრაციის წინა ფინანსური წლის მონაცემებით) საქართველოს ტერიტორიაზე აღემატება „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესით“ დადგენილ ზღვრულ ოდენობას.
2. ხსენებული წესის მე-3 მუხლის მიხედვით, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე ეკონომიკური აგენტები აკმაყოფილებენ ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

   ა) ერთობლივი (ჯამური) წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს;

   ბ) საქართველოს ტერიტორიაზე არსებული აქტივების ჯამური ღირებულება აღემატება 10 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული აქტივების ღირებულება აღემატება 4 მილიონ ლარს.

3. კანონის მე-11[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტო ვალდებულია 1 თვის ვადაში განიხილოს შეტყობინება და აცნობოს განმცხადებელს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 კვირისა. დადგენილ ვადაში პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად ჩაითვლება.
4. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.
5. „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-4 და N30/09-3 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტებით განისაზღვრება დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების საკითხები. აღნიშნული აქტები მოიცავს, როგორც სასაქონლო ბაზრის, ასევე დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების პრინციპებს, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს.
6. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია „საქმესთან დაკავშირებით შესაბამის ეკონომიკურ აგენტს, სხვა დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს ინფორმაცია, მათ შორის, მისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და სამეურნეო ურთიერთობების შესახებ, გაეცნოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ შესაბამის დოკუმენტაციას“. ამავე კანონის 32-ე მუხლის თანახმად, ასევე დადგენილია სანქცია სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის წარმოუდგენლობისათვის. თუმცა აღსანიშნავია, რომ ხსენებული ნორმები უკავშირდება სააგენტოს მიერ მოკვლევის პროცესში გამოთხოვილ ინფორმაციას და არ გულისხმობს კონცენტრაციის თაობაზე შემოსული შეტყობინების განხილვისას ეკონომიკური აგენტის მიერ ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულებას. შესაბამისად, ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნა არ ატარებს იმპერატიულ ხასიათს და სააგენტო არ არის უფლებამოსილი, შესაბამისი ბაზრის სუბიექტისგან გამოთხოვილი ინფორმაციის წარმოუდგენლობისას, მათ მიმართ გამოიყენოს კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია.

III ნაწილი. დადგენილი გარემოებები

სსიპ შემოსავლების სამსახურიდან მიღებული იმპორტის მონაცემები დამუშავდა შემდეგი სახით: შეირჩა ის პოზიციები, რომელთა შესაბამის საქონლის იმპორტს ახდენს შპს „ალტა“ და დათვლილ იქნა ამ პოზიციებზე (სათითაოდ) იმპორტიორთა რაოდენობა, საერთო იმპორტის მოცულობა, შპს „ალტას“ ადგილი, მისი იმპორტის მოცულობა და წილი საერთო იმპორტში. გონივრული მოსაზრებებიდან გამომდინარე, აღებულ იქნა ის ეკონომიკური სუბიექტები, რომელთა იმპორტი 2016 წლის განმავლობაში აჭარბებდა 10000 ლარს.

2016 წლის განმავლობაში საყოფაცხოვრებო ელექტროსაქონლის საერთო იმპორტი შეადგენდა 1 049 839 468.93 ლარს, მათ შორის შპს „ალტას“ იმპორტი შეადგენს [redacted] ლარს [redacted]. შპს „მეტრომარტი“ 2016 წლის იმპორტში არ ფიგურირებს.

საერთო იმპორტის მოცულობა (ლარი)	შპს "ალტას" იმპორტი (ლარი)	შპს "ალტას" წილი საერთო იმპორტში (%)
1 049 839 468.93	[redacted]	[redacted]



სსიპ შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ერთობლივი შემოსავლების მონაცემების დამუშავების შედეგები:

1. **"საბითუმო ვაჭრობა ელექტრონული მოწყობილობებითა და მათი ნაწილებით"** (46521, 51860) საქმიანობის სფეროს მიხედვით გადამხდელთა რაოდენობისა და ერთობლივი შემოსავლების შესახებ 2016 წლის მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის შესაბამისად

დასახელება	**ერთობლივი შემოსავალი**	**%**	**HHI**
სს საქკაბელი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს რობერტ ბოში	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს იმგო	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს პარკვუდს ტრეიდინგი LLC Parkwoods Trading	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ბორან ლაითი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ბილდინგგრუპი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ორიემი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ენსოლი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს კოპოს ელექტრო	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს გენ ელექტრიკ-Gen Electric	[redacted]	[redacted]	[redacted]
სხვა დანარჩენი 155 ეკონომიკური აგენტი	[redacted]	[redacted]	[redacted]
სულ	**101 440 209.3**	**100.00**	**688.77**



2. **"საბითუმო ვაჭრობა ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობებით და ნაწილებით"** (46522) საქმიანობის სფეროს მიხედვით გადამხდელთა რაოდენობისა და ერთობლივი შემოსავლების შესახებ 2016 წლის მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის შესაბამისად

დასახელება	**ერთობლივი შემოსავალი**	**%**	**HHI**
*** შპს ალტა	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ლუკა მობაილი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ჯორჯიან მობაილ იმპორტი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს მაინფმა ზუმერი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ნ.ჯ.მ. ჯგუფი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს სმართ-ნეთვორქ ჯორჯია	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს MTG	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს აბიტეკ	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს სქაიმაქს ჯეორჯია	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს მანტა სისტემსი	[redacted]	[redacted]	[redacted]
სხვა დანარჩენი 36 ეკონომიკური აგენტი	[redacted]	[redacted]	[redacted]
სულ:	**252 870 708.8**	**100.00**	**5 160.67**

*** შპს „ალტას“ ერთობლივ შემოსავალი მოიცავს შპს „ალტაოქეის“ შემოსავალს, რაც წარმოდგენილია შეტყობინებაში. ამასთან, ამ სასაქონლო პოზიციაში განცალკევებული არ არის „ალტას“ სხვა გაყიდვები. აქედან გამომდინარეობს „ალტას“ მაღალი წილი ბაზარზე.



3. **"საბითუმო ვაჭრობა კომპიუტერებით, კომპიუტერული პერიფერიული მოწყობილობებით და პროგრამული უზრუნველყოფით"** (46510) საქმიანობის სფეროს მიხედვით გადამხდელთა რაოდენობისა და ერთობლივი შემოსავლების შესახებ 2016 წლის მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის შესაბამისად

დასახელება	**ერთობლივი შემოსავალი**	**%**	**HHI**
შპს იუ-ჯი-თი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ACC Distribution	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ორიენტ ლოჯიკი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ალფა დისტრიბუშენ	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს მუკ-თბილისი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ელკო დისტრიბუშენ	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ევო დისტრიბუშენ	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს დილაინი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ივერსი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ესაბი	[redacted]	[redacted]	[redacted]
სხვა დანარჩენი 233 ეკონომიკური აგენტი	[redacted]	[redacted]	[redacted]
სულ	**379 629 691.7**	**100.00**	**788.62**



4. **"კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების რემონტი"** (72501, 95110) საქმიანობის სფეროს მიხედვით გადამხდელთა რაოდენობისა და ერთობლივი შემოსავლების შესახებ 2016 წლის მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის შესაბამისად

დასახელება	**ერთობლივი შემოსავალი**	**%**	**HHI**
შპს ვეზირი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ბს/2 ჯორჯია	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ივიჯი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს მაიპისი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ტექნეტი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ინოტექი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ნ.თ გრუპ	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ჯი ეს იუნიტი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს კომპიუტერლენდი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს Overstock	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ინტელქომ ჯგუფი INTELCOM GROUP	[redacted]	[redacted]	[redacted]
სხვა დანარჩენი 374 ეკონომიკური აგენტი	[redacted]	[redacted]	
სულ	**40 424 828.4**	**100.00**	**2 436.85**



5. **"საკომუნიკაციო მოწყობილობების რემონტი"** (95120) საქმიანობის სფეროს მიხედვით გადამხდელთა რაოდენობისა და ერთობლივი შემოსავლების შესახებ 2016 წლის მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის შესაბამისად

დასახელება	**ერთობლივი შემოსავალი**	**%**	**HHI**
შპს ტექნოლაინი	[redacted]	[redacted]	[redacted]
მაკა ჩიკვილაძე	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს სმარტფონ სერვისი	[redacted]	[redacted]	[redacted]
ელგუჯა ნოზაძე	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ეარ ლაინი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ნ&ლ	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს დიჯიტალ ჯორჯია	[redacted]	[redacted]	[redacted]
კობა ბარბაქაძე	[redacted]	[redacted]	[redacted]
თენგიზ ეზუგბაია	[redacted]	[redacted]	[redacted]
ფოლად ბინატოვი	[redacted]	[redacted]	[redacted]
სხვა დანარჩენი 152 ეკონომიკური აგენტი	[redacted]	[redacted]	[redacted]
სულ:	**3 485 847.8**	**100.00**	**432.91**



6. **"საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის რემონტი"** (52722,95210) საქმიანობის სფეროს მიხედვით გადამხდელთა რაოდენობისა და ერთობლივი შემოსავლების შესახებ 2016 წლის მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის შესაბამისადს

დასახელება	**ერთობლივი შემოსავალი**	**%**	**HHI**
შპს სერვის პლაზა	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს სერვის ექსპრეს+	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს სერვის-ექსპრესი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს WESTSERVICE PLUS	[redacted]	[redacted]	[redacted]
გიორგი ქიტუაშვილი	[redacted]	[redacted]	[redacted]
იაკობ ლომსაძე	[redacted]	[redacted]	[redacted]
ავთანდილ ბოგვერაძე	[redacted]	[redacted]	[redacted]
ედუარდი ნაზაროვი	[redacted]	[redacted]	[redacted]
ავთანდილი პაპაშვილი	[redacted]	[redacted]	[redacted]
გიორგი კობახიძე	[redacted]	[redacted]	[redacted]
სხვა დანარჩენი 90 ეკონომიკური აგენტი	[redacted]	[redacted]	[redacted]
სულ	**9 624 784.2**	**100.0**	**3 529.66**



7. **"სხვა საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში"** (სასაქონლო პოზიციები 47190, 52120) საქმიანობის სფეროს მიხედვით გადამხდელთა რაოდენობისა და ერთობლივი შემოსავლების შესახებ 2016 წლის მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის შესაბამისად

დასახელება	**ერთობლივი შემოსავალი**	**%**	**HHI**
შპს მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ტერმინალ ვესტ თრეიდინგი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ეი თი იუ ჯორჯია	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს სუფთა სახლი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ნობლექსი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს დი და ჯი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს მირა	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ჯეო	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს მონასტერი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ლიდინგ საფლი სოლუშენ	[redacted]	[redacted]	[redacted]
სხვა დანარჩენი 6705 ეკონომიკური აგენტი	[redacted]	[redacted]	[redacted]
სულ	**1 023 190 915.6**	**100.00**	**734.36**



8. **"საცალო ვაჭრობა აუდიო- და ვიდეომოწყობილობებით სპეციალიზებულ მაღაზიებში"** (47430) საქმიანობის სფეროს მიხედვით გადამხდელთა რაოდენობისა და ერთობლივი შემოსავლების შესახებ 2016 წლის მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის შესაბამისად

დასახელება	**ერთობლივი შემოსავალი**	**%**	**HHI**
შპს გეგაპიქსელი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ჯრკომ	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ოპტიმუმი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს რომსატი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს სტაბიკონი	[redacted]	[redacted]	[redacted]
სახილ გუსეინოვი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს გლობალ სისტემს	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ვივოტეკ	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს გრანდი 2014	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს აიისთეით გრუფ	[redacted]	[redacted]	[redacted]
სხვა დანარჩენი 48 ეკონომიკური აგენტი	[redacted]	[redacted]	[redacted]
სულ	**10 200 886.1**	**100.00**	**1 513.82**



9. **"საცალო ვაჭრობა ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით სპეციალიზებულ მაღაზიებში"** (47540, 52451) საქმიანობის სფეროს მიხედვით გადამხდელთა რაოდენობისა და ერთობლივი შემოსავლების შესახებ 2016 წლის მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის შესაბამისად

დასახელება	**ერთობლივი შემოსავალი**	**%**	**HHI**
სს ელიტ ელექტრონიქსი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს საგა იმპექსი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ომეგა	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ტექნო ბუმი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს მეტრომარტ	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ტექნოჰაუს	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ამერიტექი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს სმაილი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს მარველ გეორგია	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს თელგი	[redacted]	[redacted]	[redacted]
სხვა დანარჩენი 902 ეკონომიკური აგენტი	[redacted]	[redacted]	[redacted]
სულ	**817 801 648.8**	**100.0**	**620.64**



10. **"საცალო ვაჭრობა კომპიუტერებით, პერიფერიული მოწყობილობებით და პროგრამული უზრუნველყოფით სპეციალიზებულ მაღაზიებში"** (47410, 52481) საქმიანობის სფეროს მიხედვით გადამხდელთა რაოდენობისა და ერთობლივი შემოსავლების შესახებ 2016 წლის მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის შესაბამისად

დასახელება	**ერთობლივი შემოსავალი**	**%**	**HHI**
შპს ეფლ სითი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს აიტექნიკი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს პისიშოპ.ჯი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ულტრა	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს უნიკომი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ინტელკომ ჯგუფი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს კომლენდი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს გია 2011	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ტექნო შოპი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს Multi Solutions Group	[redacted]	[redacted]	[redacted]
სხვა დანარჩენი 348 ეკონომიკური აგენტი	[redacted]	[redacted]	[redacted]
სულ	**138 900 507.1**	**100.00**	**547.74**



11. **"საცალო ვაჭრობა რადიო და სატელევიზიო საქონლით"** (52452) საქმიანობის სფეროს მიხედვით გადამხდელთა რაოდენობისა და ერთობლივი შემოსავლების შესახებ 2016 წლის მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის შესაბამისად

დასახელება	**ერთობლივი შემოსავალი**	**%**	**HHI**
ემმა დანიელიან	[redacted]	[redacted]	[redacted]
გოჩა კეკელია	[redacted]	[redacted]	[redacted]
თურალ ჰუსეინოვი	[redacted]	[redacted]	[redacted]
ელვინ გუსეინოვი	[redacted]	[redacted]	[redacted]
ლავრენტი ყურშუბაძე	[redacted]	[redacted]	[redacted]
ნატალია შაქარაშვილი	[redacted]	[redacted]	[redacted]
ასლი კარახანიან	[redacted]	[redacted]	[redacted]
ფაიატ იმამალიევი	[redacted]	[redacted]	[redacted]
ენვერ-ფაშა ნაგიევი	[redacted]	[redacted]	[redacted]
მალხაზი გეგია	[redacted]	[redacted]	[redacted]
სხვა დანარჩენი 74 ეკონომიკური აგენტი	[redacted]	[redacted]	[redacted]
სულ	**4 420 920.3**	**100.0**	**842.78**



12. "საცალო ვაჭრობა ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობებით სპეციალიზებულ მაღაზიებში" (47420) საქმიანობის სფეროს მიხედვით გადამხდელთა რაოდენობისა და ერთობლივი შემოსავლების შესახებ 2016 წლის მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის შესაბამისად

დასახელება	ერთობლივი შემოსავალი	%	HHI
შპს ზუმერი ჯორჯია	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს ალტაოქეი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს აიპლუსი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს აიპლიუსი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს COMTEK	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს სმარტფონი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს აეროსოფტი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს სმარტ მენეჯმენტი	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს Technics +	[redacted]	[redacted]	[redacted]
შპს პლაზამობაილ	[redacted]	[redacted]	[redacted]
სხვა დანარჩენი 334 ეკონომიკური აგენტი	[redacted]	[redacted]	[redacted]
სულ	**183 236 103.2**	**100.00**	**1 627.85**



IV ნაწილი. კონკურენციის სააგენტოს შეფასება

კონკურენციის მოქმედი კანონმდებლობა, საერთაშორისო მასშტაბით, კონკურენციის შეზღუდვის ან აკრძალვის პრევენციულ ღონისძიებებათა განხორციელების მიზნით, კონცენტრაციის წინასწარი შეტყობინების შესწავლასა და შეფასებას აწარმოებს შესაბამის სასაქონლო ბაზართან მიმართებით.

შესაბამისი სასაქონლო ბაზარი არის საქონლის რეალიზაციის საერთო პირობების ნიშნის მქონე არეალი, განსაზღვრული მიმწოდებლებითა და მომხმარებლებით (მყიდველი). სადაც მწარმოებლებსა (მიმწოდებელი) და მომხმარებლებს შორის ადგილი აქვს საქონლის რეალიზაციას.

შესაბამისი საქონლის განმარტება მოიცავს საქონლის მიწოდებასა და ყიდვის (შეძენის) პროდუქციულ და გეოგრაფიულ საზღვრებს, სადაც საქონლის მიწოდება განიხილება ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ჩათვლით (ჯვარედინი ელასტიურობა) და მყიდველისათვის საქონლის შეძენის ჩანაცვლებადობას გეოგრაფიულ ასპექტში, ანუ არეალი, სადაც მომხმარებელი არსებითად იძენს საქონელს და არა სხვაგან.

ზემოაღნიშნულ მოსაზრების გაგება საერთაშორისო პრაქტიკით უნიფიცირებულია ცალკეული ქვეყნის კონკურენციის დაცვის ოფისებს აძლევს საშუალებას, კონკურენციის გარემოების შეფასებაში იხელმძღვანელოს საუკეთესო პრაქტიკის გამოცდილებით.

კონკურენციის სააგენტოში წარმოდგენილი კონცენტრაციის შემთხვევა ეხება ელექტროსაქონლის რეალიზაციას, სადაც შპს „ალტა“ გრძელი (ვერტიკალური) საქმიანობით არის წარმოდგენილი, კერძოდ, საქონლის იმპორტი, საბითუმო და საცალო გაყიდვები. ასევე შპს „ალტას“ ურთიერთდამოკიდებულ პირს წარმოადგენს შპს „ალტაოქეი“, რომელიც არსებითად საცალო რეალიზაციით არის დაკავებული შესაბამის სასაქონლო ბაზარზე.

შპს „მეტრომარტი“ არის ძირითადად შესაბამის სასაქონლო ბაზარზე ელექტრონული საქონლის დისტრიბუტორი (საცალო გაყიდვა), რომელიც საქონელს იძენს შპს „ალტასგან“ და შპს „ევროტექნიკს ჯორჯიასგან“ („ოქეი“).

ელექტრონული საქონლის დისტრიბუცია ხასიათდება რეალიზაციის სპეციფიკით, კერძოდ, მიწოდება (გაყიდვები) მოიცავს შესაბამისი მომსახურების (სერვისის) პირობებს და როგორც მწარმოებლის, ასევე მომხმარებლის გაგებითაც მიზანშეუწონელია, წარმოდგენილ იქნას ყველა სახის გაყიდვაში (მარკეტი).

ასევე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე ელექტრონული საქონლის დიფერენციაცია და მრავალფეროვნება ისტორიული განვითარების შედეგს წარმოადგენს, რის შედეგადაც განვითარდა სპეციალიზირებული გაყიდვების ქსელი, სადაც ასეულობით სახეობის ელექტრონული საქონელი იყიდება. აქედან გამომდინარე, ელექტრონული

საქონლის ბაზრის შეფასება პრაქტიკაში წარმოებს სწორედ ამ ფაქტის გათვალისწინებით, რის შედეგადაც კონკურენციის შეფასების მეთოდიკაშიც გაჩნდა სპეციფიკური მიდგომები კონცენტრაციის ფაქტის განხილვის პირველი ფაზისთვის (მარტივი განხილვა).

ევროკავშირის ქვეყნების კონკურენციის დაცვის პრაქტიკაში, კონცენტრაციის შეფასება ორი ფაზისგან შედგება, სადაც პირველი ფაზის შემთხვევაში ხდება კონცენტრაციის ფაქტის გავლენის შეფასება სასაქონლო ბაზარზე და თუ კონცენტრაციის გავლენა სასაქონლო ბაზრისათვის მინიმალურია, მასზე მარტივად ხდება გადაწყვეტილების მიღება, ხოლო თუ სახეზეა სასაქონლო პოზიციების მიხედვით კონცენტრაციის ზეგავლენა კონკურენციაზე, მაშინ საკითხის განხილვა გადადის მეორე ფაზაში და ხორციელდება საკითხის დეტალური შესწავლა, რასაც დღეისათვის საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

ევროკავშირის ქეისებში (საქმე NM.4509, 13.12.2006 კონცენტრაცია „ფილიპსის“ მიერ „პლის“ შეძენა აქციების შესყიდვის გზით, საქმე NM.7861, 29.02.2016 კონცენტრაცია „დელის“ მიერ „ემც“-ს შეძენა აქციების შესყიდვის გზით, საქმე NM.7366, 13.10.2014 კონცენტრაცია „ვირპულის“ მიერ „ინდეზიტის“ შეძენა აქციების შესყიდვის გზით, საქმე IV/M012, 31.07.1991 კონცენტრაცია „Varta“ და „Bosh”-ის მიერ ერთობლივი საწარმოს შექმნის გზით, საქმე NM.2367, 27.03.2001წ. კონცენტრაცია / SHELL მიერ SSG შეძენის გზით, საქმე N COMP/M.4226, 29/06/2006 –კონცენტრაცია DSGI მიერ FOTOVISTA-ს შეძენის გზით) რომლებიც უკანასკნელ ათწლეულში ელექტროტექნიკის სასაქონლო ბაზარზე კონცენტრაციის ფაქტებს ეხება, შეფასების მეთოდოლოგიის ფარგლებში მიდგომები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ წარმოების ან რეალიზაციის რომელ საფეხურზე ხდება კონცენტრაციის შეფასება. კერძოდ, მწარმოებელი ფირმების კონცენტრაციის შემთხვევაში ყოველგვარი დამატებითი ფორმულირების (სასაქონლო პოზიციების გამსხვილებული დაჯგუფება) გარეშე სტანდარტული წესით წარმოებს სასაქონლო ბაზრის შეფასება, ხოლო დისტრიბუციის ფაზისათვის, შერჩევითი სერვისის სპეციალიზებულ მარკეტების შემთხვევაში, სადაც ასეულობით სხვადასხვა სახის ელექტროსაქონლით ვაჭრობა წარმოებს, ევროკომისიას შემუშავებული აქვს მეთოდური მიდგომა სასაქონლო პოზიციების დაჯგუფების ასპექტში და ცალკეული დაჯგუფებული პოზიციების მიხედვით იხილავს კონცენტრაციის ზეგავლენას ბაზრის სტრუქტურაზე. კონკურენციის სააგენტოს მიდგომა ამ საკითხში ევროკავშირის პრაქტიკის იდენტურია.

შპს „ალტასა“ და შპს „მეტრომარტის“ შესაძლო კონცენტრაციის წინასწარი შეტყობინება წარმოდგენილია საქართველოს კანონმდებლობის დაცვით. სადაც ელექტროსაქონლის სასაქონლო ბაზარი შეფასებისათვის მეთოდურად მოცემულია „თეთრი“ და „შავი“ ტექნიკის სახით და შესაბამისად, წარმოდგენილია ფაქტობრივი ინფორმაცია, რომელიც ეხება საქონლის იმპორტს, სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, კონკურენციის სააგენტომ განიხილა ელექტროსაქონლის თეთრი და შავი ტექნიკის ტერმინებით დაყოფის სემანტიკური და ეტიმოლოგიური მნიშვნელობა. ასევე რ. გრიფინის და მ. პასტეის მიერ 2006 წელს გამოცემულ

სახელმძღვანელოში - „საერთაშორისო ბიზნესი“ - განხილულია და შეფასებულია ელექტროტექნიკის შავ და თეთრ ტექნიკად შეფასების საკითხი: **„წარსულში სამზარეულოსა და სამრეცხაოს აღჭურვილობა გამოდიოდა თეთრი ფერის, აქედან დასახელება „თეთრი ტექნიკა“. საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკა, როგორიცაა რადიომიმღებები, ტელევიზორები და სტერეომაგნიტოფონები, გამოდიოდა ყავისფერი ფერით, ამიტომაც ამ ტიპის სამომხმარებლო საქონელმა მიიღო დასახელება „ყავისფერი ტექნიკა“. თანამედროვეობაში საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოებაში სხვადასხვა ფერების საყოველთაოდ გამოყენების გამო ეს დასახელებები გარკვეულწილად მოძველებულია.“** აქედან გამომდინარე, შესაძლო კონცენტრაციის შემთხვევის ფაქტის შეფასება კონკურენციის სააგენტომ მოახდინა ევროკავშირის კომისიის მეთოდური მიდგომის გათვალისწინებით (ანალოგიის პრინციპით). კერძოდ, ევროკავშირის პრაქტიკის მიხედვით, ელექტროსაქონლით საბითუმო და საცალო ვაჭრობა იყოფა შემდეგ ბაზრებად:

- ყავისფერი საქონლით საცალო ვაჭრობა: აუდიო და ვიზუალური აპარატურა.
- მსხვილი საყოფაცხოვრებო ტექნიკის საცალო ვაჭრობა: სარეცხი მანქანა, მაცივარი და სხვა.
- მცირე საყოფაცხოვრებო ტექნიკით საცალო ვაჭრობა:ტოსტერი, უთო და სხვა.
- კომპიუტერებით და საკომუნიკაციო მოწყობილობებით ვაჭრობა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისია შესაბამისი ბაზრის დადგენაში არ იზღუდება და არ გამორიცხავს სასაქონლო პოზიციების (დაჯგუფებული) ჩაშლის აუცილებლობას და მიზანშეწონილობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურენციის სააგენტომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან და შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია სეს ესნ და სეკ 001-2004 მიხედვით ელექტროსაქონლის შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე და მოახდინა შესაბამისი გათვლები:

- ინფორმაცია შემდეგი სეს ესნ სასაქონლო ჯგუფებით 3919, 3926, 4202, 7321, 8414, 8415, 8418, 8422, 8443, 8450, 8471, 8473, 8504, 8506, 8507, 8508 , 8509, 8510, 8516, 8517, 8518, 8519, 8521, 8523, 8525, 8528, 8536, 8542, 8544, 9002, 9006, 9504 (ყველა შემავალი პოზიციის გათვალისწინებით) განსაზღვრული საქონლის იმპორტის, ექსპორტისა და რეექსპორტის შესახებ 2016 წლის განმავლობაში.
- ინფორმაცია ერთობლივი შემოსავლების შესახებ, სეკ 001-2004-ის საქმიანობების მიხედვით: 51.84.0; 51.86.0; 52.12.0; 52.45.1; 52.45.2; 52.48.1; 52.72.1; 52.72.2; 52.74.4; 72.50.1; 72.50.2.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კონკურენციის სააგენტომ მის ხელთ არსებული ინფორმაციის (მოსალოდნელი კონცენტრაციის მხარეების მიერ წარმოდგენილი და შემოსავლების სამსახურიდან მიღებული) საფუძველზე მოახდინა ყველა იმ სასაქონლო პოზიციაზე მოსალოდნელი კონცენტრაციის ცვლილების ზეგავლენა, სადაც კონცენტრაციის მხარეებს გააჩნია სასაქონლო პოზიციაში თანაკვეთა ან შესაძლებელია კონცენტრაციის შემთხვევაში მოხდეს თანაკვეთა (არაჰორიზონტალური კონცენტრაცია).

I. მოსალოდნელი კონცენტრაციის ზეგავლენა ელექტროსაქონლის იმპორტში

როგორც ზემოთ აღინიშნა, კონკურენციის დაცვის თემატიკა იხილება შესაბამის სასაქონლო ბაზარზე წარმოებისა და საქონლის მიმოქცევის (გაცვლის) ყველა ფაზისათვის. ცალკეული ფაზის შემთხვევაში განიხილება ამ ფაზისთვის მახასიათებელი ეკონომიკური ფაქტორები. მარტივად რომ ითქვას, ყველა სასაქონლო პოზიციისათვის მთლიანი ფაზების მქონე ეკონომიკური აგენტების შერწყმის შემთხვევაში, კონცენტრაციის გამოწვევები განიხილება თანაკვეთის სასაქონლო პოზიციაზე (ძირითად ან შემადგენელ კომპონენტებზე). მთლიანი ფაზის შემთხვევაში კონცენტრაციის შეფასება წარმოებს სტანდარტული (უნიფიცირებული) წესით და რაიმე წინასწარ ფორმულირებული სახით არ ხდება სასაქონლო პოზიციების დაჯგუფება და მიწოდების ფაქტორები და მათი ერთობლიობა განიხილება დეტალურად, თუ არსებობს მათში თანაკვეთა.

ჩვენს განსახილველ შემთხვევაში შპს „ალტას“ და შპს „მეტრომარტს“ არა აქვთ თანაკვეთა ელექტროსაქონლის იმპორტში, რაც საქართველოს შემთხვევაში წარმოადგენს სასაქონლო ბაზარზე საქონლის მიწოდების ფაქტორს (იმავეს, რაც მწარმოებელი ფირმებისათვის ნაციონალურ ბაზარზე). აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ალტას“ და შპს „მეტრომარტის“ შერწყმა ამ ფაქტორის მიხედვით არის თავსებადი საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

II. სასაქონლო პოზიცია „საცალო ვაჭრობა ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობების სპეციალიზებულ მაღაზიებში“

შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შპს „ალტა“ წარმოდგენილია აღნიშნული საქონლის საბითუმო ვაჭრობაში (ეროვნული კლასიფიკატორის მიხედვით ძირითადი საქმიანობა), სადაც მას წამყვანი პოზიცია უკავია. ამასთან, შპს „ალტას“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მას გააჩნია აღნიშნული საქონლის საცალო და კორპორატიული რეალიზაცია. საქონლის კორპორატიული რეალიზაცია წარმოადგენს საცალო გაყიდვებს საბოლოო მომხმარებლებზე ორგანიზებულ ბაზარზე, ხოლო შპს „მეტრომარტსა“ და შპს „ალტაოქეის“ გააჩნიათ ამ საქონლის საცალო გაყიდვები არაორგანიზებულ ბაზარზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, იდენტური

საქმიანობის მიხედვით მოვახდინოთ სასაქონლო პოზიციის სტრუქტურისა და კონცენტრაციის გარემოების დადგენა.

აქედან გამომდინარე, გათვლები იქნა გაკეთებული შემდეგი წანამძღვრების საფუძველზე. კერძოდ, კონცენტრაცია დათვლილ იქნა შემოსავლების სამსახურის ინფორმაციის და წარმოდგენილი შეტყობინების საფუძველზე სასაქონლო პოზიციაზე "საცალო ვაჭრობა ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობებით სპეციალიზებულ მაღაზიებში":

- ინფორმაციაში ჩაისვა შპს „ალტა“ საცალო გაყიდვებით, „თეთრი ტექნიკის“ გარეშე, შპს „ალტაოქეი“ საცალო გაყიდვებით, „თეთრი ტექნიკის“ გარეშე, შპს „მეტრომარტი“ საცალო გაყიდვებით, „თეთრი ტექნიკის“ გარეშე, ცალ-ცალკე, ბაზრის კონცენტრაციამ შეადგინა HHI=1199,1 და იმავე ინფორმაციაში, როდესაც შპს „ალტა“ და შპს „მეტრომარტი“ ერთობლივად იქნა წარმოდგენილი, HHI=1448 (ΔHHI=249).
- ინფორმაციაში ჩაისვა შპს „ალტა“ და შპს „ალტაოქეი“ ერთობლივად საცალო გაყიდვებით, „თეთრი ტექნიკის“ გარეშე, შპს „მეტრომარტი“ საცალო გაყიდვებით, „თეთრი ტექნიკის“ გარეშე (HHI=1613), და ცხრილში, სადაც ეს სამივე კომპანია ერთობლივად იქნა წარმოდგენილი (HHI=2092). ΔHHI=479.

კონკურენციის სააგენტოს მიერ მოხდენილი გათვლებით, „საცალო ვაჭრობა ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობების სპეციალიზებულ მაღაზიებში“ სასაქონლო პოზიციის შესაბამის ბაზარზე, სადაც მოქმედებენ შესაძლო კონცენტრაციის ეკონომიკური აგენტები, მთლიანი ბრუნვა შეადგენს [redacted] ლარს.

ამასთან, აღნიშნული პოზიცია საქონელი ფართოდ იყიდება ელექტროსაქონლის არასპეციალიზებულ მარკეტში. შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ელექტროსაქონლის არასპეციალიზებული ვაჭრობით დაკავებულია 6715 ეკონომიკური აგენტი და მისი მთლიანი ბრუნვა შეადგენს [redacted] ლარს.

დღეისათვის სპეციალური სამუშაოს განხორციელების გარეშე, შეუძლებელია არასპეციალიზებული ვაჭრობის მიერ რეალიზებული საქონლის ჩათვლით მოვახდინოთ ცალკეული პოზიციის სტრუქტურისა და კონცენტრაციის ზუსტი დათვლა. პირველ შემთხვევაში, როდესაც გათვლა მოხდენილია შპს „მეტრომარტის“ და შპს „ალტას“ შესაძლო კონცენტრაციის შემთხვევისთვის, სასაქონლო ბაზრის სტრუქტურის მაჩვენებელი კონცენტრაციამდე და კონცენტრაციით არის ზომიერი კონცენტრაციის ფარგლებში, კონცენტრაციის ცვლილების ΔHHI=249 ჩათვლით. ხოლო შპს „მეტრომარტის“, შპს „ალტასს“ და შპს „ალტაოქეის“ ერთობლივი კონცენტრაციის შემთხვევაში მათი საერთო წილი შეადგენს ბაზრის [redacted] ხოლო კონცენტრაციის ცვლილება ΔHHI=479.

არასპეციალიზებულ მარკეტებში გაყიდვების მოცულობა შეადგენს [redacted] სადაც ყველა სხვა საქონელთან ერთად გაყიდვაშია ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობები. არასპეციალიზებულ მაღაზიებში გაყიდვებში, სასაქონლო პოზიციების შესაბამისად,

გამოცალკევების შემთხვევაში ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობების საცალო ვაჭრობის პოზიციაზე შესაძლო კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების წილები მნიშვნელოვნად შეიცვლება (შემცირდება).

III. სასაქონლო პოზიცია „საყოფაცხოვრებო საქონლის და საკომუნიკაციო მოწყობილობების მომსახურება და რემონტი“

ელექტროტექნიკის შერჩევითი სერვისის გაყიდვები უმეტეს შემთხვევაში მოიცავს (გარანტია) რეალიზებული საქონლის მომსახურებას (მონტაჟი, რემონტი). ამდენად, შესაძლო კონცენტრაციის შემთხვევაში კონცენტრაციის მხარეებს, შესაძლებელია, ჰქონდეთ თანაკვეთა ამ საქმიანობაში.

შპს „ალტას“ ურთიერთდამოკიდებულ პირს წარმოადგენს შპს „სერვის პლაზა“, რომელსაც საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის რემონტის სფეროში გააჩნია [redacted]

კონკურენციის სააგენტომ აღნიშნული საკითხის დაკონკრეტების მიზნით აწარმოა მიმოწერა შპს „მეტრომარტთან“, რომლის შედეგადაც შპს „მეტრომარტმა“ გვაცნობა, რომ ის არ აწარმოებს ელექტროსაქონლის რემონტს, ხოლო 2017 წლის მაისიდან აწარმოებს მონტაჟს. აღნიშნული ინფორმაცია კონკურენციის სააგენტოს მიერ ჩაითვალა კონცენტრაციის გარემოების დაზუსტებად, რომელიც ყველა სხვა ვითარებაში (ინფორმაციის სხვაობა), საყოველთაო პრაქტიკით პასუხისმგებელია კონცენტრაციაში მონაწილე მხარე. აღნიშნულ საკითხზე კონკურენციის სააგენტოს დამატებითი კითხვები არ გააჩნია და ამ პოზიციაში კონცენტრაცია თავსებადია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

IV. სასაქონლო პოზიცია „საბითუმო ვაჭრობა ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობებით და ნაწილებით“

შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შპს „ალტას“ წამყვანი პოზიცია უკავია ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობებით და ნაწილებით ვაჭრობაში. შპს „მეტრომარტი“ ე. წ. შავ ტექნიკას იძენს შპს „ალტაში“. ასევე, მომავალი გაერთიანების შემთხვევაში, შპს „მეტრომარტი“ გაერთიანების ეფექტურობიდან გამომდინარე (თან ახლავს ყველა გაერთიანების შემთხვევას), ბუნებრივად გააგრძელებს შპს „ალტას“ საცალო გაყიდვებს სასაქონლო პოზიციების მიხედვით და ადგილი ექნება (კონცენტრაციის შემთხვევაში) არაჰორიზონტალურ შერწყმას.

კონცენტრაციის სააგენტომ მოახდინა გათვლები შპს „ალტას“ და „მეტრომარტის“ ვერტიკალური შერწყმის შემთხვევისათვის, შემოსავლების სამსახურისა და კონცენტრაციის მხარეების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, კერძოდ: შემოსავლების სამსახურიდან მოწოდებულ ცხრილში "საბითუმო ვაჭრობა ტელესაკომუნიკაციო

მოწყობილობებით და ნაწილებით" შპს „ალტას“ ერთობლივ შემოსავალს დააკლდა შპს „ალტაოქეის“ ერთობლივი შემოსავალი, შპს „ალტას“ საცალო გაყიდვები, შპს „ალტას“ კორპორატიული გაყიდვები, შპს „ალტას“ სერვისის მომსახურება, შპს „მეტრომარტის“ შესყიდვა; ცხრილში ასევე ჩასმულ იქნა შპს „მეტრომარტის“ მიერ ე. წ. „შავი ტექნიკის“ გაყიდვა. ამ წანამძღვრებით შპს „ალტას“ წილი შეადგენს [redacted] და ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი HHI=1851,42, ხოლო საცალო ვაჭრობაში „ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობებით და ნაწილებით“ პოზიციაზე შპს „მეტრომარტის“ წილი შეადგენს [redacted] და HHI=1199,1.

არაჰორიზონტალური კონცენტრაციის შემთხვევაში შერწყმა დასაშვებია, თუ კონცენტრაციის შედეგად შექმნილი ეკონომიკური აგენტი თითოეულ შესაბამის ბაზარზე, რომელზეც ის მოქმედებს, არ მიიღებს [redacted] მეტ საბაზრო წილს. ჩვენს განსახილველ შემთხვევაში შპს „ალტას“ წილი შეადგენს [redacted] რაც ფორმალურად პრობლემას ქმნის, მაგრამ იმის გამო, რომ არც შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციით და არც შეტყობინებით ვერ ხერხდება გაყიდული საქონლის სახეობების მიხედვით გაცალკევება - შპს „ალტას“ რეალიზაციაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს კომპიუტერების რეალიზაციას - მათი ცალ-ცალკე განხილვის შემთხვევაში შპს „ალტას“ წილი მნიშვნელოვნად დაიწევს. ამდენად, შერწყმა თავსებადია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

V. სასაქონლო პოზიციების გაერთიანება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არც შემოსავლების სამსახურის ინფორმაცია და არც შესაძლო კონცენტრაციის შეტყობინება არ იძლევა სასაქონლო პოზიციების მკვეთრად გამიჯვნის საშუალებას, ამდენად, კონკურენციის სააგენტომ გააკეთა შემდეგი გათვლა (III და ყველა სხვა პოზიციისათვის, სადაც შესაძლოა, რამე გამოწვევა იკიოთხებოდეს): გაერთიანდა შემდეგი პოზიციები: ერთად საბითუმო ვაჭრობა კომპიუტერებით, კომპიუტერული პერიფერიული მოწყობილობებით და პროგრამული უზრუნველყოფით და საბითუმო ვაჭრობა ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობებით და ნაწილებით და ასევე ერთად საცალო ვაჭრობა ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობებით სპეციალიზებულ მაღაზიებში და საცალო ვაჭრობა კომპიუტერებით, პერიფერიული მოწყობილობებით და პროგრამული უზრუნველყოფით სპეციალიზებულ მაღაზიებში.

საბითუმო ვაჭრობის შემთხვევაში შპს „ალტას“ საბაზრო წილი შეადგენს [redacted]-ს, შპს „მეტრომარტის“ საბაზრო წილი - [redacted]-ს, ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი HHI=585,5; კონცენტრაციის შემთხვევაში, შპს „ალტას“ და შპს „მეტრომარტის“ საერთო საბაზრო წილი შეადგენს [redacted]-ს, ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი HHI=653,5.

საცალო ვაჭრობის შემთხვევაში, გათვლები ასევე გაკეთებული იქნა შემდეგი წანამძღვრების საფუძველზე. კერძოდ, კონცენტრაცია დათვლილ იქნა ინფორმაციის საფუძველზე:

- სადაც წარმოდგენილ იყო შპს „ალტა“ საცალო გაყიდვებით, „თეთრი ტექნიკის“ გარეშე [redacted] შპს „ალტაოქეი“ საცალო გაყიდვებით, „თეთრი ტექნიკის“ გარეშე [redacted] შპს „მეტრომარტი“ საცალო გაყიდვებით „თეთრი ტექნიკის“ გარეშე [redacted] ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი HHI=569,8 და ცხრილში, სადაც შპს „ალტა“ და შპს „მეტრომარტი“ ერთობლივად იქნა წარმოდგენილი [redacted], ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი HHI=656,7 (ΔHHI=86,9).
- სადაც წარმოდგენილ იყო შპს „ალტა“ და შპს „ალტაოქეი“ საცალო გაყიდვებით, „თეთრი ტექნიკის“ გარეშე [redacted], შპს „მეტრომარტი“ საცალო გაყიდვებით, „თეთრი ტექნიკის“ გარეშე, ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი HHI=781,2, და ცხრილში, სადაც ეს სამივე კომპანია ერთობლივად იქნა წარმოდგენილი [redacted] ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი HHI=985,7 (ΔHHI=204,5).

აღნიშნულთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ ორივე სასაქონლო პოზიციის გაერთიანების შემთხვევაში როგორც საბითუმო, ასევე საცალო კონცენტრაციების მაჩვენებლების დაწევა ნიშნავს, რომ სასაქონლო პოზიციების სწორი გამიჯვნის შემთხვევაში ზემოაღნიშნულ გამოწვევებსაც არ ექნება ადგილი და შესაბამის სასაქონლო პოზიციებზე შესაძლო კონცენტრაციის მხარეების როგორც აბსოლუტური, ასევე წილობრივი მაჩვენებლები იქნება შესამჩნევად ნაკლები.

VI. სასაქონლო პოზიცია „საცალო ვაჭრობა ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით სპეციალიზებულ მაღაზიებში“

შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შპს „ალტა“ ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით ვაჭრობაში არ ფიგურირებს, შპს „მეტრომარტს“ კი მეოთხე პოზიცია უკავია. თავად შპს „ალტას“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, იგი ახდენს საცალო გაყიდვას. კონცენტრაციის სააგენტომ მოახდინა გათვლები შემოსავლების სამსახურისა და კონცენტრაციის მხარეების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, კერძოდ: შემოსავლების სამსახურიდან მოწოდებულ ცხრილში "საცალო ვაჭრობა ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით სპეციალიზებულ მაღაზიებში" ჩაისვა შპს „ალტას“ ე. წ. „თეთრი“ ტექნიკის საცალო გაყიდვები. ამ წანამძღვრებით ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი HHI=630,7. კონცენტრაციის შემთხვევაში, შპს „ალტას“ და შპს „მეტრომარტის“ მონაცემების შეკრებით ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი HHI=631,5 და სხვაობა ΔHHI=0,8.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინასწარ შეტყობინებას დაქვემდე-ბარებული შპს „ალტას“ და შპს „მეტრომარტის“ კონცენტრაცია, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითთებების“ მე-20 და 21-ე მუხლების შესაბამისად თავსებადია ნორმალურ კონკურენტულ გარემოსთან.